საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/945
30.09.2024

ბრძანება

945-01-4-202409301031

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმრებლის დაცვის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესის და პროცედურის“ მე-18 მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 6 ნოემბრის №52 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული კომერციის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 6 ნოემბრის №52 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული კომერციის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. თანდართული სახით დამტკიცდეს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესი.
2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული წესი გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის გამო დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესი (შემდგომში - წესი) ადგენს იმ ძირითად კრიტერიუმებსა და ფორმულას, რომლითაც ხელმძღვანელობს სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა (შემდგომში – კანონი) და „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - ელექტრონული კომერციის კანონი) დარღვევის გამო პირისთვის დასაკისრებელი ჯარიმის განსაზღვრის მიზნით.

2. წესის მიზანია ხელი შეუწყოს პირისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის ობიექტურად განსაზღვრას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პირი - კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „მოვაჭრე“ და ელექტრონული კომერციის კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „მომსახურების მიმწოდებელი“;

ბ) მომხმარებელი - კანონის მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „მომხმარებელი“ და ელექტრონული კომერციის კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმღები;

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშნელობა, რაც კანონსა და ელექტრონული კომერციის კანონში.

მუხლი 3. პრინციპები

1. ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედებს კანონითა და ელექტრონული კომერციის კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

2. სააგენტოს მიერ გამოყენებული ჯარიმა უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და პრევენციული.

3. ჯარიმის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პირის ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს.

4. პირისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას მის კომერციულ საქმიანობას.

5. ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.

მუხლი 4. ჯარიმის დაკისრების საფუძვლები

1. სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პირს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში პირის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს.

2. მოვაჭრისთვის ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 600 ლარზე ნაკლები.

3. ჯარიმის ოდენობა გამოითვლება სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში პირის წლიური ბრუნვიდან, ხოლო, თუ პირი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრირებულია სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ჩაითვლება ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წელი და ჯარიმის გამოთვლა განხორციელდება პირის რეგისტრაციიდან სააგენტოს მიერ ჯარიმის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში მიღებული ბრუნვიდან.

4. პირის მიერ დარღვევის 12 თვის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში მას დაეკისრება ჯარიმა დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

5. ამ მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, პირისათვის დასაკისრებელი ჯარიმის კონკრეტული ოდენობა დგინდება ამ წესის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული კრიტერიუმების შეფასების შედეგად.

მუხლი 5. ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმები

1. ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

2. დარღვევის მასშტაბის განსაზღვრისას, სააგენტო ითვალისწინებს დარღვევის გეოგრაფიულ და შინაარსობრივ მასშტაბებსა (დარღვევა მოხდა ადგილობრივად თუ ქვეყნის მასშტაბით) და იმ მომხმარებელთა რაოდენობას, რომელთა ინტერესებზეც გავლენას ახდენს ან/და შესაძლოა მოახდინოს დარღვევის შედეგებმა (დარღვევა ვრცელდება/შესაძლოა გავრცელდეს ძალიან ვიწრო წრეზე თუ ფართო წრეზე);

3. დარღვევის ხასიათის განსაზღვრისას, სააგენტო ითვალისწინებს ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით.

4. დარღვევის სიმძიმის შეფასებისას სააგენტო ითვალისწინებს:

ა) ინტენსივობას;

ბ) დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის სახეს, ოდენობას ან/და ხასიათს;

გ) დაერღვათ თუ არა უფლებები მომხმარებელთა იმ ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებიც უფრო მოწყვლადი არიან მათი ეკონომიკური, სოციალური სტატუსის, ცოდნის ან/და სხვა ნიშნის გამო;

დ) პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასარიდებლად;

ე) პირმა მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით - სცადა თუ არა სამართალდარღვევის შედეგების აცილება ან/და დარღვეული უფლების ნებაყოფლობით აღდგენა;

5. სხვა გარემოებების შეფასებისას სააგენტო ითვალისწინებს:

ა) პირის ფინანსურ მდგომარეობას;

ბ) საქმის შესწავლის დროს სააგენტოსთან თანამშრომლობას;

გ) პირის ქცევას, რომლითაც იგი ცდილობს მტკიცებულებების მოსპობას ან სააგენტოსთვის საქმის შესწავლის პროცესში შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლას;

დ) პირის მიერ დარღვევის ჩადენის განმეორებითობას;

ე) საქმისათვის მნიშვნელოვან დამატებით სხვა გარემოებებს.

6. დარღვევის ხანგრძლივობის განსაზღვრისას, სააგენტო ითვალისწინებს კანონსაწინააღმდეგო ქმედების განგრძობადობას და იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც გრძელდებოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედება.

მუხლი 6. მოვაჭრისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები

სააგენტო, უსამართლო კომერციული საქმიანობის განხორციელების გამო მოვაჭრისთვის დასაკისრებელი ჯარიმის დადგენისას, ასევე მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს:

ა) მოვაჭრის იმ ვებ-გვერდის ნახვების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში), სადაც მან განათავსა უსამართლო კომერციული საქმიანობის შემცველი ინფორმაცია;

ბ) უსამართლო კომერციული საქმიანობის განხორციელებისთვის გამოყენებული კომუნიკაციის საშუალებების რაოდენობა და მათი სიხშირის დაფარვის არეალი;

გ) კანონის მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მომხმარებელთა ნდობის მოპოვება ხდება მარტივი გზით - უსამართლო კომერციული საქმიანობის მონაწილე არის იმ დარგის სპეციალისტი, რომელ სფეროსაც განეკუთვნება შეთავაზებული საქონელი;

დ) უსამართლო კომერციული საქმიანობა ხორციელდება ეკონომიკური კრიზისის, პანდემიის, უბედური შემთხვევის, სტიქიური უბედურების და სხვა მსგავს შემთხვევაში.

მუხლი 7. დაკისრებული ჯარიმის გადახდა

1. პირი ვალდებულია ჯარიმა მისი დაკისრებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს.
2. ჯარიმა გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
3. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მუხლი 8. ჯარიმის ოდენობის განმსაზღვრელი ფორმულა

$$B = N + T + L + M \pm A$$

B – სააგენტოს მიერ დაკისრებული ჯარიმა (ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის პროცენტი).

კრიტერიუმები:

N – დარღვევის ხასიათი (ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის 0%-0.4%);

T – დარღვევის ხანგრძლივობა (ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის 0%-0.4%);

L – დარღვევის მასშტაბი (ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის 0%-0.4%);

M - დარღვევის სიმძიმე (ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის 0%-0.4%).

A – დარღვევის სხვა დადგენილი მნიშვნელოვანი გარემოებები (ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბრუნვის 0%-0.4%);